## საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/40 „24“ მარტი 2023 წ.

# განკარგულება

**საქართველოს სამოსამართლო ეთიკის წესების კომენტარების შემუშავების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ**

„საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ზოგიერთი გადაწყვეტილების ნორმატიული აქტებისათვის მიკუთვნების თაობაზე“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 იანვრის №1 დადგენილების დანართი 6-ით დამტკიცებული „საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის“ მე-9 მუხლის „უ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, კორუფციის წინააღმდეგ სახელმწიფოთა ჯგუფის (GRECO) მიერ საქართველოს ანტიკორუფციული შეფასების მე-4 ციკლის ფარგლებში 2016 წლის 2 დეკემბერს მიღებულ ანგარიშში გამოთქმული რეკომენდაციისა და საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის 2022 წლის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობის შესრულების მიზნით:

1. საქართველოს სამოსამართლო ეთიკის წესების კომენტარების შემუშავების მიზნით შეიქმნას სამუშაო ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:

ა) დიმიტრი გვრიტიშვილი - თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე (ჯგუფის ხელმძღვანელი);

ბ) თამარ ზამბახიძე - საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლე;

გ) ნინო თარაშვილი - თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე;

დ) ალექსანდრე იაშვილი - თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე.

2. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

ნიკოლოზ მარსაგიშვილი

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი